



საფუძველი: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

ა ნ გ ა რ ი შ ი

2023 წლის პირველი იანვრიდან 2023 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით სსიპ - საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურში (შემდგომში - სამსახური) საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 7 (შვიდი) განცხადება. 6 (ექვსი) განცხადების შემთხვევაში, სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2019 წლის 22 ნოემბრის №124 ბრძანებით დადგენილი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის, სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის ლევან ბაიდოშვილის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შესახებ, ხოლო 1 (ერთი) განცხადებაზე ინფორმაცია არ გაცემულა. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ მოთხოვნა სამსახურში არ შემოსულა. ამასთან, სამსახურში ფიქსირდება 1 (ერთი) ადმინისტრაციული საჩივარი.

სამსახურში ფუნქციონირებს საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა (eDocument), შესაბამისად, საჯარო მონაცემთა ბაზის შექმნა აღნიშნულ პროგრამაში ხორციელდება ავტომატურ რეჟიმში.

სამსახურში პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება და შენახვა ხორციელდება სამსახურის საკადრო უზრუნველყოფის (მათ შორის, ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის (eHRMS) ფუნქციონირების), საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის (eDocument) ფუნქციონირებისა და ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველყოფის, აგრეთვე, საკუთრებისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით.

სამსახურში დასაქმებულების მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელი პირისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია. სამსახურს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით ხარჯები არ გაუწევია.

აგრეთვე, სამსახურს ინფორმაციის გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ, თანხები არ გადაუხდია.

